სკოლის მისია, მომავლის ხედვა, ღირებულებები

1. სკოლის მისია

შპს N1 **სკოლის მისიაა** აღზრდა - ჩამოყალიბება ისეთი განათლებული, კრიტიკულად მოაზროვნე, ჯანსაღი, ტოლერანტი, კონკურენტულ გარემოში თვითდამკვიდრების უნარის მქონე ჰარმონიულად განვითარებული პიროვნებისა, რომელიც ორიენტირებულია ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე. სკოლა წარმართავს პიროვნებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პროცესს; აღსაზრდელისთვის ქმნის კომფორტულ და უსაფრთხო გარემოს, სადაც ისინი განივითარებენ პოზიტიურ უნარ-ჩვევებს, შეძლებენ მიღებული ცოდნის წარმატებით გადატანასა და გამოყენებას განსხვავებულ სიტუაციებში, რაც ხელს სეუწყობს მათ ადაპტაციას, თავისუფალ აზროვნებას.

სკოლის განსაკუთრებული პრიორიტეტებია:

- პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესი;
- მათემატიკისა და უცხოური ენისადმი (ინგლისური ენა) მოსწავლეთა ინტერესის გაღვივება;
- მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე, სხვადასხვა მიმართულებით, შესაბამისი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით მათი აღჭურვა; ესგ-ის მოთხოვნების განხორციელებისათვის ოპტიმალური პირობების შექმნა;

2. მომავლის ხედვა

შპს N1 სკოლის **მომავლის ხედვაა,** რომ იგი იყოს სტაბილური და მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო დაწესებულება, თანამედროვე მოთხოვნათა და გამოწვევათა შესაბამისად; ზრუნავდეს თავისუფალი, მოტივირებული და კონკურენტუნარიანი ადამიანის ჩამოყალიბებაზე; წვლილი შეჰქონდეს ქვეყნის სამეცნიერო, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში. სკოლის ხედვა არის SMART პრინციპით გამართული, კონკრეტული, რეალისტური, გაზომვადი.

3. სკოლის ღირებულებები

სკოლის კულტურის დედაბოძი ის ფასეულობებია, რომლებსაც მთლიანად იზიარებს სკოლის ყველა წევრი. კერძოდ:

ა) სკოლის მისიის შესრულებისაკენ სწრაფვა;

ბ) ურთიერთობის მაღალი კულტურა; ურთიერთპატივისცემისა და თანასწორობის პრინციპების დაცვა სასწავლო პროცესის მონაწილეთა და საზოგადოების წარმომადგენელთა შორის განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა;

გ) შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნა;

დ) გულშემატკივრობა, მიუკერძოებლობა;

ე) დემოკრატიულობა, განსხვავებული აზრისადმი პატივისცემა;

ვ) ერთსულოვნება, გუნდური მუშაობა, კოლეგიალურობის დაცვა;

ზ) პროფესიონალიზმი, საქმის სიყვარული და ერთგულება; რაციონალურობა, მოვალეობების გააზრება, საკუთარ პასუხისმგებლობის გაცნობიერება, კეთილსინდისიერება, შრომისმოყვარეობადა წესრიგის დაცვა;

თ) მოსწავლეთა აკადემიური ხარისხის ამაღლება, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარება და სამოქალაქო ჩართულობა;

ი) თანამშრომლობა მშობლებთან, საზოგადოებასთან, ორგანიზაციებთან;

კ) სასწავლო პროცესის მონაწილეთა ინტერესის დაცვა. სწავლების, ინიციატივისა დაკვლევისაკადემიურითავისუფლება;

ლ) პერსონალის პროფესიული განვითარება;

მ) საგანმანთლებლო, კვლევითი და პროფესიული საქმიანობის ტრადიციების განვითარება;

ნ) პროფესიული ეთიკის პრინციპების და პასუხისმგებლობის განუხრელი დაცვა, სხვათა შრომის, მიღწევებისა და აზრის პატივისცემა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა;

ო) სრულფასოვანი პიროვნებების აღზრდა-ჩამოყალიბება, რომლებიც თავიანთ წვლილს შეიტანენ ქვეყნის წარმტებებსა და განვითარებაში;

პ) წარსულ გამოცდილების ვითვალისწინება და ინოვაციური მიდგომების დანერგვა.

სკოლის ღირებულებებია, ასევე:

ა) მოწესრიგებული ,ესთეტიკური, სუფთა და დაცული სკოლის შენობა და ტერიტორია; სწავლებისა და აღზრდისათვის მრავალფეროვანი, მშვიდი და საქმიანი გარემოს შექმნა;

ბ) საჯაროდ შემუშავებული,განხილული და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომი სასკოლო სასწავლო გეგმა, შინაგანაწესი, სხვა სასკოლო დოკუმენტაცია; ასევე სხდომის გადაწყვეტილებები, სადაც დაფიქსირებულია ყველა განსხვავებული მოსაზრება, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

გ) დაგეგმილი კვირეულები; მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებაში, რომელთა მიზანია ხელი შეუწყოს:

- ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვას;

- კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებისა და ტოლერანტობის აღზრდას;
- ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და უსაფრთხოების დაცვას;
- გარემოსდაცვით განათლებას მდგრადი განვითარებისათვის;
- კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების გზების სწავლებას;
- საკუთარი მოვალეობების გააზრების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უნარ-ჩვევების განვითარებას;
- ინიციატივების წახალისებას.

დ) აქტიური მონაწილეობა და მაღალი შედეგები როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო პროექტებში, კონკურსებში, ოლიმპიადებში.

ე) მოსწავლეთა და თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლებაზე ზრუნვა;

ვ) პედაგოგთა პროფესიული ზრდისათვის ხელშეწყობა. უახლესი ინფორმაციის მათთვის დროულად და ხარისხიანად მიწოდება;

ზ) ახალგაზრდა და დამწყებ პედაგოგებთან მიზნობრივი მუშაობა;

თ) მშობლებთან თანამშრომლობა სასკოლო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისა და ჩართულობის მიზნით.